

საკონფერენციო გრანტების 2024 წლის კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. აუცილებელია თუ არა, პროექტს ჰყავდეს წამყვანი ორგანიზაცია?

პასუხი: დიახ, აუცილებელია.

2. შეუძლია თუ არა ერთ ორგანიზაციას საკონფერენციო გრანტების 2024 წლის კონკურსში წარმოადგინოს ერთზე მეტი საპროექტო განაცხადი?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია ერთი ორგანიზაციის მიერ ერთზე მეტი პროექტის წარდგენა ამ კონკურსის ფარგლებში.

3. შეუძლია თუ არა კონკურსში მონაწილეობა წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაციის სახით შპს უნივერსიტეტს?

პასუხი: არა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსის მქონე იურიდიულ პირს არ შეუძლია საკონფერენციო გრანტების კონკურსში მონაწილეობა.

4. შესაძლებელია თუ არა, წამყვანი ორგანიზაცია არ იყოს საქართველოში რეგისტრირებული?

პასუხი: არ არის შესაძლებელი, კონკურსის პირობების თანახმად, წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაცია შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ).

5. თანადამფინანსებელი ორგანიზაციის იურიდიულ სტატუსს აქვს მნიშვნელობა?

პასუხი: არა, თანადამფინანსებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი.

6. შემიძლია თუ არა კონკურსში მონაწილეობა, თუ მონაწილეობას ვიღებ სხვა საგრანტო კონკურსებში?

პასუხი: დიახ, შეგიძლიათ.

7. ძირითადი პერსონალის სახით ვმონაწილეობ მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების კონკურსში გამარჯვებულ პროექტში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დახურული, წელს თუ შემიძლია მონაწილეობის მიღება "საკონფერენციო გრანტების 2024 წლის კონკურსი"?

პასუხი: დიახ, შეგიძლიათ.

8. შეიძლება თუ არა პროექტის ხელმძღვანელი ან ორგანიზატორი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე?

პასუხი: არა, არ შეიძლება, პროექტის ხელმძღვანელი, ასევე სხვა ძირითადი პერსონალი - ორგანიზატორი, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

9. სავალდებულოა თუ არა, პროექტის ხელმძღვანელისათვის დოქტორის ხარისხის ქონა?

პასუხი: დიახ, კონკურსის პირობების თანახმად, პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

10. სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის დიპლომით ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს ჩართული?

პასუხი: დიახ, სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან.

11. საერთაშორისო აკადემიური ხარისხის ქონის შემთხვევაში რა სახის დოკუმენტია წარმოსადგენი?

პასუხი: თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ.

12. საერთაშორისო სადოქტორო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში რა სახის დოკუმენტია წარმოსადგენი?

პასუხი: დოქტორანტის შემთხვევაში წარმოსადგენია ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან გაცემული 2024 წელს და მისი დამოწმებული თარგმანი.

13. საჭიროა თუ არა განახლებული ცნობის წარმოდგენა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ თუ ძირითადი პერსონალი არის ფონდის მიერ დაფინანსებული სადოქტორო გრანტის მიმღები?

პასუხი: დიახ საჭიროა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ ცნობის წარმოდგენა გაცემული შესაბამისი ორგანიზაციიდან 2024 წლის მდგომარეობით.

14. CV მხოლოდ ძირითადი პერსონალისთვის უნდა შეივსოს თუ დამხმარე პერსონალის შემთხვევაშიც საჭიროა, მაგალითად, მარკეტინგის და PR-ის წარმომადგენლებისთვის?

პასუხი: არა, CV-ები მხოლოდ ძირითადი პერსონალისთვის ივსება.

15. მეცნიერის პროფილში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია შეყვანილი გვაქვს ქართულ და ინგლისურ ენაზე. კონფერენციის პირობებში კი წერია პუბლიკაციები და. ა. შ. წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ამ ჩანაწერის მიხედვით უნდა შევცვალოთ პროფილში განთავსებული ინფორმაცია თუ დავტოვოთ როგორც გვაქვს.

პასუხი: ორგანიზატორთა CV-ი წარმოდგენილი უნდა იყოს კონკურსის პირობების შესაბამისად, ამიტომ მეცნიერის პროფილის ქართულ ენოვანი ნაწილი შევსებული ინდა იყოს ქართულად, ხოლო პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე.

16. საჭიროა თუ არა დამხმარე პერსონალი იყოს წინასწარ განსაზღვრული პიროვნება?

პასუხი: არა, არ არის საჭირო დამხმარე პერსონალის პიროვნების მითითება, პროექტში მხოლოდ მისი ფუნქცია უნდა იყოს მითითებული და საჭიროება დასაბუთებული.

17. საჭიროა თუ არა მომხსენებლების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა პროექტის წარდგენისას?

პასუხი: სასურველია განსაზღვრული გკონდეთ მომხსენებლთა რაოდენობა, რაც ასევე უნდა გაითვალისწინოთ ბიუჯეტის მომზადებისას.

18. კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით ?

პასუხი: არა, კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები შეფასდება საკონკურსო კომისიის მიერ, დაწერილი ქულების საფუძველზე შედგება ერთიანი რანჟირებული სია და დაფინანსდება უმაღლესი ქულების მქონე პროექტები.

ბიუჯეტი

19. ბიუჯეტის რომელი კატეგორიებით ვიხელმძღვანელოთ? ბიუჯეტის კლასიფიკატორი სად შეიძლება ვნახოთ?

პასუხი: კონკურსის ბიუჯეტის კატეგორიები დეტალურად არის განსაზღვრული საკონფერენციო გრანტების კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში.

20. იბეგრება თუ არა ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება?

პასუხი: არა, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ იბეგრება.

21. არის თუ არა ლიმიტი ძირითადი და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით?

პასუხი: არა, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებასა და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებასთან მიმართებით ლიმიტი არ არსებობს. გაითვალისწინეთ, რომ ბიუჯეტის პროექტის მიზნებთან შესაბამისობა წარმოადგენს შეფასების საგანს.

22. გთხოვთ განვიმარტოთ ძირითადი პერსონალის შრომის ანაზღაურება, გრანტის საერთო ბიუჯეტის 1/3 შეადგენს?

პასუხი: ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსების ლიმიტს კონკურსი არ აწესებს. იგი უნდა განსაზღვროთ თქვენი პროექტის მიზნებისა და საჭიროებების მიხედვით. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებს ავანსის სახით ჩაერიცხება პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილ ჯამურ თანხას (ჯამური ბიუჯეტი) გამოკლებული ძირითადი პერსონალის (გრანტის მიმღების/კონფერენციის ორგანიზატორთა) დაფინანსების 2/3. დაფინანსების ეს ნაწილი ჩაგერიცხებათ ფონდში წარმოდგენილი პირველადი ანგარიშის შემდეგ. პირველადი ანგარიში კი უნდა წარმოადგინოთ კონფერენციის ჩატარებიდან 15 სამუშაო დღეში.

23. როცა ორგანიზატორი არის კონფერენციის მონაწილეც, რამდენად შეიძლება მისი სასტუმროს ხარჯის დაფარვა და რომელი მუხლი ითვალისწინებს ამ ხარჯს, იმის გათვალისწინებით რომ

კონფერენცია ტარდება სხვა ქალაქში?

პასუხი: შესაძლებელია (საკონფერენციო გრანტების კონურსის პირობები მე-3 მუხლი, მე-2 პუნქტი გ.ა ქვეპუნქტი - კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი)

24. პლენარული მომხსენებლების ავიაბილეთების ხარჯი სად უნდა გაიწეროს? მონაწილეთა ტრანსპორტირებაში შედის ავიაბილეთების ხარჯიც?

პასუხი: პლენარული მომხსენებლების ავიაბილეთების ხარჯი გათვალისწინებული უნდა იყოს „კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯების“ კატეგორიაში.

25. სად უნდა გაიწეროს კონფერენციის მიღების სადილის ხარჯი?

პასუხი: სადილის ხარჯი გათვალისწინებული უნდა იყოს „კონფერენციის მონაწილეთა კვების ხარჯის“ კატეგორიაში.

26. კონფერენციის ბიუჯეტში ხომ არ არის შეზღუდვა მოწვეულ სტუმრების ხარჯებთან დაკავშირებით (როგორცაა ტრანსპორტირება, სავიზო მოსაკრებელი, სასტუმრო და ა.შ.)?

პასუხი: კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტირების, დაბინავებისა და კვების ხარჯები გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურსით გათვალისწინებულ ბიუჯეტის შესაბამის კატეგორიებში.

27. ნებადართულია თუ არა, რომ კონფერენციის მონაწილეობისთვის იყოს სარეგისტრაციო გადასახადი?

პასუხი: დიახ.

28. თუ ღონისძიება იგეგმება სექტემბერში შესაძლებელია თუ არა წინასწარი შესყიდვების განხორციელება?

პასუხი: არა, შესყიდვების განხორციელება შესაძლებელია საგრანტო დაფინანსების მიღების შემდეგ.

29. რა ხარჯები შეიძლება აისახოს „სხვა ხარჯებში“?

პასუხი: პროექტის ბიუჯეტის მე-3, „პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხების“, ხარჯვითი კატეგორიის 3.7 ქვეკატეგორიაში, „სხვა საქონელი და მომსახურება“, შეიძლება აისახოს კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებული ისეთი სხვა ხარჯები, რომლებიც არ შედის იმავე კატეგორიის სხვა ქვეკატეგორიების ჩამონათვალში.

30. შესაძლებელია თუ არა მიზნობრივ ხარჯში ჩავსვათ მედიაში გაშუქება ან პროფესიონალური ოპერატორი?

პასუხი: შესაძლებელია (საკონფერენციო გრანტების კონურსის პირობები მე-3 მუხლი, მე-2 პუნქტი გ.ზ. ქვეპუნქტი - სხვა საქონელი და მომსახურება).